ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **67-01181722375**

თარიღი: **21.06.2018**

ადრესატი:
მიხეილ ბალიაშვილი
პირადი ნომერი: 01005001410
მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დიმიტრი უზნაძეს ქუჩა, N 95

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ არქიტექტურის სამსახურს წარედგინა AR1557025 განცხადება, ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, ველოტრეკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.248), ქალაქ თბილისში, დასახლება დიდი დიღომი, ველოტრეკის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.248) არსებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე (ფართობი: 723 კვ. მ) ფუნქციური ზონის ცვლილების მოთხოვნით.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა შეიმუშავებს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს; ამავე კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, თბილისის მერი თბილისის საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტებს;

„ტექნიკური რეგლამენტის - დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დასახლებათა სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის დოკუმენტების დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს შესაბამისი თვითმმართველობის შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმასა და განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილებების შეტანა ხდება ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების დაცვით, გარდა ამ დებულების მე-14 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებისა.

გაცნობებთ, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის და ასევე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილულ იქნა თქვენი AR1557025 განცხადება, სადაც თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.248 და 01.10.06.001.248, საერთო ფართობი: 723 კვ.მ) ფუნქციური ზონის ცვლილების თაობაზე მიეცა დადებითი შეფასება.

გიგზავნით აღნიშნულ გადაწყვეტილებას დანართის სახით.

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

რუსუდან მირზიკაშვილი